



2025 წლის თებერვლის თვის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი


2025

მარტი

2025 წლის თებერვლისთვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*



თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 2.4% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.0%-ით განისაზღვრა.





იანვარში*, ფულადმა გზავნილებმა 242.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნები - 45.1%; აშშ- 19.5%; რუსეთი- 10.5%; სხვა ქვეყნები - 24.9%.

იანვარში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.9%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით კი 0.3%-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი




2025 წლის იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 11.1%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის იანვარში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 11.1% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: პროფესიულმა, სამეცნიერო და ტექნიკურმა საქმიანობამ, ტრანსპორტმა და დასაწყობებამ, მშენებლობამ, ინფორმაციამ და კომუნიკაციამ, დამამუშავებელმა მრეწველობამ, ვაჭრობამ.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2025 წლის იანვარში* 12,196.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.7%-ით აღემატება.




● ყოველთვიური ინფლაცია ● წლიური ინფლაცია ● საპროცენტო დეფლატორი


2025 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 2.4% შეადგინა.

თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 2.4%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, განათლებაზე და სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე. თებერვალში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.0%-ით განისაზღვრა.


2025 წლის იანვარში* მშპ-ის წლიურმა საპროცენტო დეფლატორმა 1.6% შეადგინა.



ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)



ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (მლნ ლარი)




2025 წლის იანვარში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 4.6%-ით, ხოლო ხარჯები 12.6%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 281.2 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 90.8 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის იანვარში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,059.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.7%-ით აღემატება. ამავე პერიოდში გაიზარდა მოგების გადასახადი (17.1%-ით) და საშემოსავლო გადასახადი (16.7%-ით). შემცირდა - აქციზი (38.3%-ით), იმპორტის გადასახადი (21.6%-ით), ქონების გადასახადი (1.8%-ით), დღგ (0.9%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 55.1%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 44.9% შეადგინა. იანვარში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 2.6%-იანი კლება (10.5 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.

შემოსავლები და ხარჯები (მლნ ლარი)




2025 წლის იანვარში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.


იანვარში*, წინა წლის იანვართან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 21.1%-ით მოიმატა და 60.7 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 23.3%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 18.4%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 43.6% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (52.6%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.6% ფიზიკურ პირებზეა, 14.4% კი ინდემწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 37.3% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 62.7% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.4% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.8% - მშენებლობის, 17.4% - მრეწველობის, 13.4% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.2% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით (ნაკადები)



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2025 წლის იანვარში*, წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

2025 წლის იანვარში ექსპორტმა 19.3%-ით, ხოლო იმპორტმა 45.5%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 39.3%-ით გაიზარდა და 2,008.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 20.1%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ბულგარეთში (1,211%), აგრეთვე - ყირგიზეთში (62%), შვეიცარიაში (44%), უზბეკეთში (43%), ყაზახეთში (25%), აზერბაიჯანში (13%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა თურქეთში (20%), რუსეთში (18%), ჩინეთში (10%) და სხვა.


იანვარში* საექსპორტო საქონლის მიხედვით ზრდა დაფიქსირდა: ავტოვანი სასუქების (55%), ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (52%), მინერალური და მტკნარი წყლების (47%), ოქროს (47%), სამკურნალო საშუალებების (40%), მსუბუქი ავტომობილების (16%), სპირტიანი სასმელების (10%) ჯგუფებში. შემცირდა ძვირფასი ლითონების მადნის (32%), ნატურალური ღვინის (28%) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი)




2025 წლის იანვარში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 69.4% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 20.1% - საზღვაო, 6.3% - საჰაერო, 4.3% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა 0.01% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 35.9% საჰაერო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 30.2% - საავტომობილო, 24.0% - საზღვაო, 5.0% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 4.9% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი)




იანვარში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 186.3 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11.6%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 17%), თურქეთი (11%), ჩინეთი (9%), ბულგარეთი (6%), სომხეთი (6%), აზერბაიჯანი (5%), შვეიცარია (5%), იტალია (4%), უკრაინა (3%), გერმანია (3%).

ფულადი გზავნილები (%)
ჩარიცხვები, იანვარი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)




2025 წლის იანვარში* ფულადი გზავნილები შემცირდა.

იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 8.5%-ით შემცირდა და 242.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (109.3 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 45.1%) და აშშ (47.3 მლნ აშშ დოლარი, 19.5%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 62.4%-ით შემცირდა და 25.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 10.5%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (46.2 მლნ აშშ დოლარი, წილი 19.0%), აგრეთვე - ისრაელიდან (21.3 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (19.4 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (19.0 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (7.6 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (6.2 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (5.3 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი



● ჩარიცხვა ● გადარიცხვა

2025 წლის თებერვალში საერთაშორისო რეზერვებმა 4,234 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

თებერვალში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,234 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.8%-ით, წინა თვესთან მიმართებით კი 4.4%-ით შემცირდა.

2025 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის კვრადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმულო.


3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2025 წლის იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 29.3%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 13.8%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 45.5%-ით გაიზარდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 10.0%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 16.9%-ს გაუტოლდა. 2025 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 2.4% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)



2025 წლის თებერვალში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 10,035.4 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 70.5% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 15.2% - ეროვნული ბანკის, ხოლო 14.3% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 12.8%, არარეზიდენტი - 1.5%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (თებერვალი)




2025 წლის იანვარში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 60,387.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 15.9%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 45.8% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა კი 54.2%.

იანვრის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.2% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.8% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 65.0% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 35.0% იურიდიული პირების მფლობელობაშია.


დეპოზიტები (იანვარი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 52.5% ვადიანი დეპოზიტებია, 24.9% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 22.6% მიმდინარე ანგარიშები.


უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (42.2%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (31.8%) და მიმდინარე ანგარიშებს (26.0%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)



2025 წლის იანვარში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 12,160.8 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 24.6%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.7%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.3%.

სამომხმარებლო სესხები (იანვარი)




2025 წლის იანვარში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა.

იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.49 პპ-ით გაიზარდა და 50.8%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.35 პპ-ით მოიმატა და 43.6% შეადგინა.


იანვრის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.0%-ით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 3.0%-ით გაიზარდა.

ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 40,301.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 18.9%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.7%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.3%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (იანვარი)



სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




იანვრის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 63.7% გაცემულია თბილისში, 7.8% - იმერეთში, 7.4% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.0% - კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.1% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2025 წლის იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე თითქმის უცვლელი დარჩა, ხოლო სესხებზე 0.8 პპ-ით გაიზარდა.


იანვარში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.9% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.1%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) იანვრის* მდგომარეობით 6.8% შეადგინა, 0.97 პპ-ით მეტი წინა წლის იანვართან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



2025 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარი როგორც აშშ დოლართან მიმართებით, ასევე ევროს მიმართ გამყარდა.

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.9%-ით, ევროს მიმართ 0.3%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 2.7%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, თებერვალში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.8%-ით და ევროს მიმართ 2.3%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 10.7%-ით გამყარდა.

თებერვლის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.82, ევროსთან მიმართებით 2.94, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.08 შეადგინა.


4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2024 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2024 წლის III კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,056.7 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.9%-ით (201.3 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 2.6%-ით (51.8 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის III კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3,976.9 ლარის ოდენობით, 0.5% წლიური ზრდა), მშენებლობისა (3,198.2 ლარი, ზრდა 5.4%), აგრეთვე - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგებში (3,186.6 ლარის ოდენობით, ზრდა 13.5%) და პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობების დარგებში (3,062.9 ლარი, ზრდა 17.1%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2025 წლის იანვრის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, განათლებაზე განხორციელებული სახელმწიფო დანახარჯები შემცირდა, ჯანდაცვაზე კი გაიზარდა.


იანვარში* განათლებაზე განხორციელდა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 257.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 16.6%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე განხორციელებული დანახარჯები კი 176.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით 27.7%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა


2025 წლის თებერვალში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 39.1%, ხოლო სომხეთში 2.5% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2025 წლის იანვრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.4%-ით, რუსეთში კი 9.9%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია თებერვალი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება თებერვალი



2025 წლის თებერვლის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, სომხური დრამის გარდა, გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თებერვალში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი 5.8%-ით, თურქული ლირა 14.9%-ით, რუსული რუბლი 1.0%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.01%-ით გაუფასურდა, ხოლო სომხური დრამი 1.7%-ით გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	9.5	8.2	11.8	9.2	7.5	13.0	12.0	8.3	11.0	7.5	6.7	11.1	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	11.8	8.5	19.1	10.7	10.7	19.8	14.2	11.6	14.7	10.1	10.1	14.7	
ინფლაცია (%)	0.3	0.5	1.5	2.0	2.2	1.8	1.0	0.6	0.3	1.3	1.9	2.0	2.4
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	9.00	8.25	8.25	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.47	0.47	0.46	0.45	0.47	0.47	0.46	0.46	0.47	0.49	0.50	0.49	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.44	0.45	0.45	0.46	0.45	0.44	0.44	0.44	0.43	0.43	0.43	0.44	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.66	2.68	2.68	2.72	2.83	2.73	2.70	2.71	2.73	2.74	2.81	2.84	2.82
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	266,386	280,934	278,515	284,309	281,091	298,118	290,567	283,385	281,060	266,696	285,395	242,440	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	465	523	437	501	581	684	642	616	682	543	549	404	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,182	1,227	1,452	1,413	1,360	1,567	1,455	1,440	1,548	1,505	1,672	1,604	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-716.9	-704.8	-1,014.9	-911.8	-779.1	-883.4	-813.4	-824.6	-866.5	-962.0	-1,122.8	-1,200.4	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,746	4,777	4,814	4,600	4,581	4,671	4,839	4,712	4,085	4,124	4,448	4,430	4,234
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,823	2,384	2,050	2,010	2,495	2,066	1,951	2,216	2,011	2,003	2,597	2,213	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,676	1,558	1,904	1,697	1,587	2,193	1,531	1,599	1,661	1,721	2,647	1,932	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	420	430	424	459	567	570	555	594	567	456	1,147	392	

■ ზრდა
 ■ კლება
 ■ ცვლილება < 1%


ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაისი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იანვ 25	თებ 25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	სესხების დოლარიზაცია													
	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაისი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იანვ 25	თებ 25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	სესხების დოლარიზაცია													
	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

